

NT-pro BNP

B-ტიპის ნატრიურული პეპტიდი (B-type natriuretic peptide BNP) იმ ბიოაქტიური პეპტიდების ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლებიც წყლისა და ნატრიუმის რეგულაციაში მონაწილეობენ. BNP-ის სინთეზი უმეტესად მარცხენა პარკულუმში მიმდინარეობს (მისი დიდი მასის გამო). გულის კამერების ნებისმიერი გადაჭიმვა BNP-ის სინთეზის დაწყებას იწვევს. B-ტიპის ნატრიურული პეპტიდი ფიზიოლოგიურად ისე მოქმედებს, როგორც რენინანგიოტენზინ-ალდოსტერონის ანტაგონისტი. B-ტიპის ნატრიურული პეპტიდი თავიდან სინთეზირდება როგორც პრეპრომონი, შემდეგში ხდება მისი ფერმენტული გახლეჩა და მიიღება BNP (ბიოლოგიურად აქტიური ფორმა) და NT-pro BNP (ბიოლოგიურად ინერტული ფორმა). სწორედ NT-pro BNP განისაზღვრება სისხლში.

რატომ კეთდება NT-pro BNP-ის ტესტი?

NT-pro BNP გამოიყენება პირველად ჯანდაცვაში (ექიმის ოფისში), როგორც გულის უკმარისობის სკრინინგ ტესტი.

NT-pro BNP გამოიყენება ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში ჰაერის მწვავე, ძნელად სადიფერენციაციო უკმარისობის დროს იმის დასადგენად, გულის უკმარისობა არის თუ არა სუნთქვის უკმარისობის მიზეზი.

NT-pro BNP გამოიყენება გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებში, მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?

სპეციალური მომზადება საჭირო არ არის. ანალიზის გასაკეთებლად საჭიროა ვენური სისხლი.

NT-pro BNP-ის გამოყენების ალგორითმი

პირველად ჯანდაცვაში:

NT-pro BNP $< 125\text{pg/ml}$ - გულის უკმარისობა გამორიცხულია; საჭიროა სხვა მიზეზის მოძებნა.

NT-pro BNP $\geq 125\text{pg/ml}$ - გულის უკმარისობა შესაძლებელია; საჭიროა გულის ექოსკოპიური კვლევა.

ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში:

NT-pro BNP $< 300\text{pg/ml}$ - გულის უკმარისობა გამორიცხულია; საჭიროა სხვა მიზეზის მოძებნა.

NT-pro BNP $\geq 300\text{pg/ml}$ - ასაკით დადგენილ დონეზე - ეგრეთ წოდებული რუხი ზონა.

გულის უკმარისობა შესაძლებელია; საჭიროა კვლევის გაგრძელება. შეიძლება გულის უკმარისობის მკურნალობის დაწყება.

NT-pro BNP \geq ასაკით დადგენილ დონეზე - გულის უკმარისობის ალბათობა მაღალია; საჭიროა დაიწყოს მკურნალობა.

NT-pro BNP $\geq 10000\text{pg/ml}$ - გულის უკმარისობის ალბათობა ძალიან მაღალია. საჭიროა ხშირი მონიტორინგი.

გულის ქრონიკული უკმარისობის მქონე პაციენტებში:

NT-pro BNP \leq 400pg/ml - პაციენტი დაბალი რისკის ჯგუფშია

NT-pro BNP $>$ 400pg/ml - პაციენტი მაღალი რისკის ჯგუფშია

NT-pro BNP-ის ასაკით დადგენილ დონე:

< 50 წელი 450 pg/ml

50-75 წელი 900 pg/ml

>75 წელი 1800 pg/ml

NT-pro BNP მატულობს შემდეგი დაავადებების დროს:

- ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია
- ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება

კიდევ რა დასახელებით შეიძლება შეგვხვდეს?

სხვა დასახელება არ გააჩნია.

საჭირო ინფორმაცია

NT-pro BNP მატულობს:

- ასაკის მატებასთან ერთად;
- თირკმლის უკმარისობის დროს;
- ჰიპოთირეოიდიზმის დროს;
- სარქვლოვანი პათოლოგიების დროს;

NT-pro BNP კლებულობს:

- ზოგიერთი მედიკამენტის მიღების შემდეგ (აგფ ინჰიბიტორები, სპირონოლაქტონი, ვაზოდილატატორები);
- ჰიპერთირეოიდიზმის დროს;
- სარქვლოვანი პათოლოგიის კორექციის შემდეგ;
- სიმსუქნის დროს;

ბეტა ბლოკერების მიღების შემდეგ NT-pro BNP რამდენიმე კვირის განმავლობაში მატულობს და შემდეგ კვლავ იკლებს.